შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (10.023)

7-14 მაისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წიგნი საუკეთესო მეგობარია

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ მირზაანში გიგლიოთეკა გაიხსნა. 2015 წლიდან წიგნის ფონდი, რომელიც 8 499 წიგნს მოიცავს, გიგლიოთეკარის შორენა წიკლაურის სახლში ინახებოდა. ამიერიდან გიგლიოთეკა ბინას მირზაანის ადმინისტრაციულ შენობაში დაიდებს.

2015 წელს, მირზაანის ბიბლიოთეკა ზემო მაჩხაანის სკოლის ხანძარს შეეწირა. „მირზაანის ბიბლიოთეკა იყო სოფლის სკოლის შენობაში. მოგეხსენებათ, მაჩხაანის სკოლა დაიწვა და მოსწავლეებმა მირზაანის სკოლაში განაგრძეს სწავლა. ბავშვებს აღარ ჰყოფნიდათ საკლასო ოთახები და ამიტომ, იძულებულები გავხდით, ბიბლიოთეკის ოთახიც მათთვის დაგვეთმო. ასე აღმოჩნდა წიგნები ჩემს სახლში“- იხსენებს **შორენა წიკლაური**.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის **ნიკოლოზ ჯანიაშვილის**, მირზაანის რწმუნებულის **აკაკი თარაშვილის**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის **ივანე ნატროშვილისა** და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორის **ილია მარტყოფლიშვილის** ძალისხმევით, მირზაანის ადმინისტრაციულ შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ოთახს, სადაც ბიბლიოთეკა განთავსდა.

6 მაისს ის საზეიმოდ გაიხსნა. ცერემონიალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მალხაზ მერაბიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: „ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ამ ულამაზეს და ისტორიულ სოფელს ბიბლიოთეკა არ ჰქონდა. ახლა სიხარულით მოვდიოდი თქვენთან, რადგან ვიცოდი, რომ ბიბლიოთეკის დაბადება ერთად უნდა გვეზეიმა. მიხარია, რომ სოფლის მოსახლეობას ამიერიდან შეეძლება სასურველი წიგნის მოძიება და გატანა, ეს განსაკუთრებით მომავალ თაობას ეხება“.

თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ახალგაზრდობის, სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: „ქრისტე აღდგა! გილოცავთ გიორგობას! დიდი დღეა დღეს. და დიდი დღეა იმიტომაც, რომ აღდგა ბიბლიოთეკა მირზაანში. ამ წიგნებმა დაკარგეს თავიანთი ბინა, ამას შესანიშნავად გაუძღვა და თავი მოაბა ქალბატონმა შორენამ, და სათუთად შეინახა წიგნები. თქვენ ნახეთ, როგორაა შენახული ისინი. ადამიანებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს სჭირდება ცოდნის წყარო, არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბიბლიოთეკის სახით, არამედ ზოგადად. ვერავითარი ელექტრონული წიგნი ვერ შეცვლის წიგნის ტრადიციულ ფორმატს, რომელიც მოზარდს ცოდნის მიღებასთან ერთად თვალსაწიერს უვითარებს“
.

მანანა მაჭარაშვილი, დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი: „მირზაანის ბიბლიოთეკა მოიცავს 8 499 წიგნს. მიუხედავად იმისა, რომ ის აქამდე ბიბლიოთეკარის ოჯახში ინახებოდა, მაინც მოქმედი იყო და ბავშვებს სასურველი ლიტერატურის მოძიებაში აქტიურად ეხმარებოდა შორენა წიკლაური“. მანანა მაჭარაშვილმა ბიბლიოთეკის აღდგენისათვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა **ილია მარტყოფლიშვილმა** ღონისძიების დასასრულს მირზაანის ბიბლიოთეკარს შორენა წიკლაურს გაწეული ღვაწლისათვის მადლობა გადაუხადა და ის სიგელით დააჯილდოვა. ბიბლიოთეკის ეზოში ნორჩი წიგნის მოყვარულების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. ბიბლიოთეკის კვირეულის დახურვა დედოფლისწყაროში სოფელ მირზაანში ბიბლიოთეკის აღდგენით აღინიშნა.

* * *

წიგნი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა, ცოდნის გავრცელების, განათლებისა და აღზრდის იარაღი. ცოდნის გადაცემის უპირველესი მეთოდი კაცობრიობის ისტორიაში ზეპირი გადაცემა იყო.ხოლო, როდესაც ევროპაში დაიწყო წიგნის საწარმოებლად ქაღალდის გამოყენება, უფრო მარტივი გახდა ინფორმაციის გადაცემა.ლიტერატურა სულიერების მასაზრდოებელია.მისი გავლენა ადამიანზე ძალიან დიდია.

წიგნს შეუძლია იყოს ადამიანის საუკეთესო მრჩეველი, რადგან მას შესწევს ძალა, ადამიანი დააფიქროს ცხოვრებაზე, არსებობაზე, სირთულეებზე, პრობლემების გადაჭრის გზებზე, გრძნობებსა და ემოციებზე, დამოკიდებულებებზე მოვლენების მიმართ, ზოგადსაკაცობრიო თემებზე...

ინგა შიოლაშვილი

ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების გამოსაყენებლად

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციასთან ერთად გრძელდება, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული, ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის პროექტი „ტურისტული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება დედოფლისწყაროში“.

პროექტის აქტივობები დაიწყო 2021 წელს. უკვე ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება: შეხვედრა საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, საქართველოში ესტონეთის საელჩოში, ვიზიტები ადგილობრივ ტურისტულ ობიექტებში, ონლაინ სემინარები ტურისტული პროდუქტის ხარისხის პროდუქტების შემუშავების მიზნით და სხვა.

ამ დღეებში ტურიზმის ესტონელი სპეციალისტები კვლავ სტუმრობდნენ დედოფლისწყაროს. ვიზიტის მიზანი ამ ეტაპზე იყო ქართულ მხარესთან ერთობლივად შემუშავებული ტურისტული პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმების პრაქტიკაში დატესტვა ადგილობრივ სიტუაციაზე მოსარგებად.

მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ: ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი რაილი მენგელი, ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის პროექტების მენეჯერი სილია ლეჰტჰპუ, ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის ხარისხის ექსპერტი ლი სიილაკი და ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი კატრინ პაპი. სტუმრებმა დაათვალიერეს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები: ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე, არწივის ხეობა, ელია თეზბიტელის მონასტერი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი.

პროექტისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმის სექტორში ახალგაზრდების ჩართვა და ქალი მეწარმეების ხელშეწყობა.

დედოფლისწყაროში ვიზიტების დროს ისინი დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფთან ერთად ესტუმრნენ იმ ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებიც ან უკვე საქმიანობენ ტურიზმის სფეროში გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან სურთ ტურისტული პროდუქტის შექმნა და გაყიდვა: **საოჯახო სასტუმროებს: „კერა“, „სავანა“, „თეოს კოტეჯები“, „მერი პოპინსი“, „ქიზიყური ტრადიციული“; ესტუმრნენ გონაშვილების, ნასრაშვილების, ბაღაშვილების, „ნინო მერის“ საოჯახო მარნებს, ლოლაშვილების ბიო-ვენახსა და მარანს, გასინჯეს აქ წარმოებული ღვინოები, დააგემოვნეს მიხეილ მაძღარაშვილის ბიო ღვინოც; იყვნენ კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ობიექტებში: „ფესვები“ არტ-სტუდიაში, ალადაშვილების სამჭედლოში. სტუმრები იმყოფებოდნენ რძის პროდუქტების საწარმოში „ლეანკა“, სადაც გასინჯეს რძის ქართული ნაწარმი და „ლეანკას“ საფირმო დესერტი, ზურაბ მასურაშვილის თანამედროვე ფერმაში დაესწრნენ წველის პროცესს და დააგემოვნეს რძისგან დამზადებული ტრადიციული ქართული კერძები, ასევე ქართული ჯიშის ღორის ხორცი და ქართული ქათმის კვერცხი. სოფელ არბოშიკში, თეო ბენაშვილის ჟოლოს ბაღში, გასინჯეს ჟოლოს საფირმო დესერტი და მონაწილეობა მიიღეს ხინკლის მომზადების პროცესში, არბოშიკშივე მაია ლამაზოშვილის ქიზიყურ ტრადიციულ ეზოსა და მე-18 საუკუნის სახლში დაათვალიერეს ქიზიყური ყოფის ამსახველი ნივთები და ისწავლეს ტრადიციული კერძის-ჩიხირთმის მომზადება. ესტონელი ექსპერტები ორჯერ ესტუმრნენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციას კოლოთოს ხეობაში და ნახეს, როგორ ვითარდება ეს ობიექტი.**

რაიონის ტურისტული ბიზნესების ნახვისას სტუმრებმა აღნიშნეს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებობს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარების ფართო შესაძლებლობები.

ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციას უმასპინძლა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომელმაც სტუმრებს გააცნო ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტი.

ვიზიტის პროცესში სასტუმრო „ავტოგრაფის“ საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სემინარები ექსპერტთა ჯგუფის წევრების: მანანა ყატაშვილის (ასოციაციის თავმჯდომარე), ანა ბენაშვილის (ასოციაციის საბჭოს წევრი), ნანა ქართველიშვილის (ტურიზმის სპეციალისტი), ნინო სეთურიძის (ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ვიზიტორთა სპეციალისტი), მანანა ინაშვილის (კახეთის დესტინაციის მართვის ორგანიზაციის ხარისხის ექსპერტი), ნინო მაძღარაშვილის (საოჯახო მარანი „ნინო მერის“), ხათუნა პოპიაშვილის (საოჯახო სასტუმრო „მერი პოპინსი“) მონაწილეობით.

ესტონელების შემდგომი ვიზიტი შემოდგომაზე იგეგმება. გათვალისწინებულია ადგილობრივ მეწარმეთა სწავლება ტურისტული პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმების პრაქტიკულად დანერგვის მიზნით; ასევე-ხარისხის კრიტერიუმების და სისტემის განვითარება და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანამედროვე ტურისტული პროდუქტის შექმნა, განვითარება და გაყიდვა, ტურიზმის ასოციაციის წევრი ადგილობრივი მეწარმეების სასწავლო ვიზიტი ესტონეთში გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვა ღონისძიებები.

მანანა ყატაშვილი
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე

უკრაინელი ლტოლვილები მოინახულეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა ოზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში უკრაინელი ლტოვილები მოინახულეს. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნუგზარ პაპიაშვილმა ანდრეი ნიკონენკოსა და ოლენა კალიუჟნას ოჯახს საკვები პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები გადასცეს და მათ მშვიდობა და სამშობლოში მალე დაბრუნება უსურვეს. ახალგაზრდების ოჯახი ოზაანში 6 თვის ქალიშვილთან-ვალერიასთან ერთად ქალაქ ხარკოვიდან ჩამოვიდა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგლები დედოფლისწყაროში

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

მათ შეხვედრის მონაწილეებს თანასწორობის უფლებების დაცვის კუთხით სახალხო დამცველის უფლებამოსილებები და ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაში განხორციელებული უახლესი ცვლილებები გააცნეს.

ღონისძიების დასასრულს გამართული დისკუსიის ფარგლებში შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები და მიეღოთ პასუხები შეხვედრის განმავლობაში განხილული ცალკეული საკითხების შესახებ. გარდა ამისა, მხარეებმა გამოთქვეს ერთმანეთთან სამომავლო თანამშრომლობის მზაობა.

ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილი საქართველომ უკვე შეავსო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ ჰარცელს ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა, რომელიც ქვეყანამ უკვე შეავსო.

„მაქვს პატივი, გადმოგცეთ ევროკომისიის კითხვარზე ჩვენი პასუხები, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ წარდგენილ განაცხადზე დასკვნის მოსამზადებლად“, - განაცხადა პრემიერმა.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მისთვის პატივია ამ ისტორიულ პროცესში მონაწილეობა.

„მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო კიდევ ერთი ისტორიული მომენტის მონაწილე და თქვენს გვერდით ვიდგე ამ ცივილიზაციური არჩევნისკენ მიმავალ გზაზე“, - განაცხადა კარლ ჰარცელმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას კითხვარის მეორე, სექტორული ნაწილის შევსებაზე, რომელიც 33 თავს და მოიცავს 2300-მდე კითხვას აერთიანებს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის სურვილია, კითხვარის მეორე ნაწილი ევროკავშირს დათქმულ ვადაზე ადრე მიაწოდოს და ამისთვის უწყებები ძალისხმევას არ დაიშურებენ.

როგორც ცნობილია, შევსებული კითხვარის მიღების შემდგომ, ევროკომისია დაიწყებს საკუთარი შეფასების ანგარიშის მომზადებას, რომელიც ევროკავშირის საბჭოს გადაეცემა და საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს მიიღებს.

საბიბლიოთეკო კვირეული - „წიგნი და მე“

2022 წლის 30 აპრილი-7 მაისი, საბიბლიოთეკო კვირეულის „წიგნი და მე“ ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება „წიგნი და ჩვენ.“

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ წიგნის და წიგნიერების დამფასებელი სტუმრები, კულტურის ცენტრის წარმომადგენლები, ყოფილი თანამშრომლები. დიდი სითბოთი აღინიშნა საერთო საქმეში შეტანილი მათი წვლილი, რომელიც სამადლობელი სიგელების გადაცემითაც დაგვირგვინდა. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა **მანანა მაჭარაშვილმა**: „ორწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ გმასპინძლობთ მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში, საბიბლიოთეკო კვირეულზე „წიგნი და მე“. სტატისტიკა ზოგადად მოსაბეზრებელია, მაგრამ, მაინც, მინდა იცოდეთ, რომ საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნად ფონდში 207132 წიგნია, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში კი - 66 210. დღეს წარმოგიდგენთ ზეპირ ჟურნალს, სადაც მოგითხრობთ ჩვენი სიამაყის, ნიკო ფიროსმანის შესახებ, ის წელს იუბილარია-160 წლის ხდება. აგრეთვე, ვისაუბრებთ იოსებ ნონეშვილის პოეზიის სილამაზეზე. მოგითხრობთ იმ ადამიანებზე, ვინც წლების განმავლობაში, ლია ფიროსმანაშვილის მეთაურობით, ქმნიდა რაიონში საბიბლიოთეკო საქმიანობის დიდ ისტორიას. ეს ქალბატონები არიან: იზოლდი ზედელაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ანგელინა ღორაშვილი, ციური ბენაშვილი, თამარ ნასრაშვილი, ლილი ბეგიაშვილი. ჩვენ მათგან ვისწავლეთ მუშაობა, მკითხველთან ურთიერთობა, საქმისადმი წრფელი და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება. მადლობა მათ გაწეული შრომისთვის და მეგობრობისთვის. წლები გავიდა და პანდემიის გამო გვაკლდა მკითხველთან ურთიერთობა, ის დამოკიდებულება, რაც ზოგადად, ადამიანებს ერთმანეთისთვის მოაქვთ. 15 წელია საბიბლიოთეკო გაერთიანებას ვხელმძღვანელობ და ყოველთვის მეამაყება ჩემი სამსახურიც და თანამშრომლებიც. იქნებ, ზოგჯერ სათანადოდ ვერ ფასდება საბიბლიოთეკო მუშაკთა პროფესიონალიზმი, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც მოსათმენია. შეიძლება ყველა პერსონალურად ვერ ვახსენო, მაგრამ ჩემთვის, ყველა ერთია. მინდა ვისაუბრო ჩვენი მოკრძალებული ბიბლიოთეკარების შესახებ, ვინც წლების განმავლობაში ემსახურებოდა თავის საქმეს, მკითხველს. განსაკუთრებით სათუთია ბავშვებთან მუშაობა, რომლებიც გაცისკროვნებული თვალებით მოდიან ბიბლიოთეკაში და ზოგჯერ ვერ ერკვევიან თავიანთ სურვილებში, აქ უკვე ბიბლიოთეკარი ერთვება და ხდება წიგნთან პატარა გონების დაახლოვება. ცალკე გამოვყოფ ბიბლიოთეკების საქმიანობას სოფლებში და მეამაყება, რომ ყველა სოფელს აქვს ბიბლიოთეკა საკმაოდ კარგი ფონდებით და სასიამოვნო, სანდომიანი ქალბატონებით. მიხარია, როცა რომელიმე სოფელში მორიგ შემოწმებაზე ჩავალ და მკითხველი შემოაღებს კარს, მადლობა მათ მუშაობისთვის.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა ყოველთვის ფლაგმანია საბიბლითეკო საქმიანობაში. მომსახურების თანამშრომლები, საბავშვოს, დაკომპლექტების მუშაკები, ბიბლიოთეკის მხატვარი, ყველა ერთგულად ემსახურება მათზე მინდობილ საქმეს. დასაფასებელია ყველას მუშაობა. უზომოდ სასიხარულოა ახალმოსახლეობა ორი სოფლის ბიბლიოთეკის-მირზაანის და სამთაწყაროსი, რომელშიც უდიდესი წვლილი და დამსახურება მიუძღვის მუნიციპალიტეტის მერს - ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს - ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ხელმძღვანელს-ბატონ ილია მარტყოფლიშვილს, ასევე ყველასათვის ცნობილ ექიმს, დეპუტატ ვანო ნატროშვილს და სოფელ მირზაანის რწმუნებულს- ბატონ აკაკი თარაშვილის. ყველა კარგი საქმე მისაბაძი და გადამდებია, მადლობა მათ.

ჩვენი სამსახური შეუმჩნეველია, მაგრამ ამავდროულად, საინტერესო და სასიამოვნო ის პროცესი, როდესაც ვემსახურებით მკითხველს და ვაკეთებთ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს. ამ ღონისძიებაზე მინდა, რომ ერთი სასიამოვნო პროექტი დავაანონსო-„კონვერტში ჩატეული ფიქრები“- ეს ფიქრები შეუძლია სტუმარმაც ჩაწეროს და მასპინძელმაც. დარჩება თაობებს ჩვენი მცირე ნააზრევი. ილიას დავესესხები- „წიგნი იმისთანა რამაა, სოფლის ამბავს ქალაქში წაიღებს, ქალაქისას სოფელშიო“. მართლაც, ვასწავლოთ მომავალ თაობებს წიგნიდან კარგი ამბების გაგება. წიგნი გვამოგზაურებს გენიოს მწერლებთან ერთად, მე ყველას ვურჩევ ვიმოგზაუროთ და შევიცნოთ ცხოვრება“.

შესავალი სიტყვის შემდეგ, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე **ნატალი ალულიშვილი** წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე თემით „ფიროსმანი-160“. საინტერესოდ გადმოსცა ნიკო ფიროსმანაშვილის სიძნელეებით სავსე ცხოვრება. იოსებ ნონეშვილის ლექსი „ფიროსმანი“ კი მხატვრულად წაიკითხა **თეკლა ნატროშვილმა.**

ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა **თინათინ ელაშვილმა** სიტყვით გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ გასულ წელს, მათ მომზადებული ჰქონდათ იოსებ ნონეშვილისადმი მიძღვნილი საღამო, მაგრამ პანდემიის გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა: **„ამიტომ დღეს შევარჩიე ერთი თემა, სატრფიალო ლირიკა. ამბობენ, სიყვარული გადაგვარჩენსო და მოდით, დღეს სიყვარულზე ვილაპარაკოთ... გაზაფხულივით შემოაბიჯა ქართულ პოეზიაში, სიყვარულზე მოგალობე პოეტმა იოსებ ნონეშვილმა. მის ლექსებს მღეროდა დიდი და პატარა. გალაქტიონ ტაბიძის შემდეგ, იშვიათია პოეტი თანამედროვე პოეზიაში, რომელსაც ქალის სიყვარულის უნაზესი გრძნობა ისე ფაქიზად და დრამატულად გამოეხატა, როგორც ეს იოსებ ნონეშვილმა მოახერხა. პოეტის ლექსები - „საქართველოს ლამაზებო“, „შენ, დედოფლობა დაგმშვენდებოდა“, „საუბარი ნაძვებთან“, „ფრთხილად იყავ, ფრთხილად იყავ ლამაზო“, „ყელსაბამი“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, „მაგრამ გაგიბედავ“, „უსახელო ყვავილი“, ქართული სატრფიალო პოეზიის საგანძურში შევიდა.“** სასიამოვნო იყო მსმენელისთვის იოსებ ნონეშვილის ლექსების გახსენება და მოსმენა.

მანანა მაჭარაშვილმა მადლობა გადაუხადა ილია მარტყოფლიშვილს ყოფილი თანამშრომლების მოწვევის, მათი შრომის დაფასებისთვის და სიტყვა მას გადასცა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ილია მარტყოფლიშვილი**: „გილოცავთ საბიბლიოთეკო კვირეულს. ჩვენ ყოველწლიურად გვაქვს ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები კვირეულის ფარგლებში. როგორც იქნა პანდემია ცოტა დასუსტდა და მოგვეცა საშუალება, ყველა ღონისძიება ისე ჩატარდეს, როგორც საჭიროა. თქვენ წიგნის მცველები ხართ, მრავალი წელი მიუძღვენით წიგნების მოვლა-პატრონობას და მკითხველთან კომუნიკაციას, ამიტომ ყველაზე დასაფასებელი და საჭირო პროფესიის წარმომადგენლები ბრძანდებით. ქვეყნის მასშტაბით ბევრი ბიბლიოთეკა დაიხურა და აღარც წიგნადი ფონდია. ამ მხრივ დედოფლისწყარო გამონაკლისია და ეს თითოეული თქვენგანის დამსახურებაა, მადლობა კიდევ ერთხელ ამ ღვაწლისა და შრომისთვის, რომ შეინარჩუნეთ ეს ფონდიც და, ზოგადად, ბიბლიოთეკაც. თქვენც გამოცდილი გაქვთ ეს სირთულე, რამდენიმე წელი გაატარეთ „დევნილობაში“, მაგრამ დღეს საბედნიეროდ მშვენიერ სივრცეში ხართ. ტექნოლოგიებმა მოიტანა ის, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა ნაწილობრივ ჩამოშორდა წიგნს, მაგრამ ბეჭდური ნაწერის წაკითხვას ვერანაირი ტექნოლოგია შეედრება. ყოველთვის ვამბობ, რომ ბეჭდური სიტყვის ფასი ვიცი, ყველაზე მეტად მესმის და ყველაზე მეტად ვაფასებ. მგონია, რომ ბეჭდურ სიტყვას ბევრად მეტი ძალა აქვს. ტელევიზიით ან რადიოთი გაჟღერებული სიტყვა გაქრება, ბეჭდური მასალა კი რჩება და თაობიდან თაობას შეიძლება გადაეცეს. თქვენს ფონდებშიც იქნება ბევრი ისეთი წიგნი, რომელიც მრავალი ათეული წელია არსებობს. ამიტომ ამ ფონდის შენარჩუნებისთვის ყველა იმ ყოფილ და მოქმედ თანამშრომელს დიდი მადლობა, ვინც იცავდა, დღემდე იცავს და შეუნარჩუნა ჩვენს მუნიციპალიტეტს ორას შვიდი ათასზე მეტი წიგნი. ვისურვოთ, რომ ახალგაზრდობამ უფრო მეტი დრო დაუთმოს წიგნის კითხვას და ამასთანავე, ბიბლიოთეკას მეტი საშუალება ჰქონდეს ფონდის განახლების, ახალი ლიტერატურის შემოტანის.“

ილია მარტყოფლიშვილმა კიდევ ერთელ გადაუხადა მადლობა განწეული შრომისთვის და სიგელებით დააჯილდოვა მოქმედი თანამშრომლები: **თინათინ სულაშვილი, ნანა გოგილაშვილი და ლეილა ხარხელაური, ასევე ყოფილი თანამშრომლები: იზოლდი ზედელაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ანგელინა ღორაშვილი, ციური ბენაშვილი, თამარ ნასრაშვილი, ლილი ბეგიაშვილი.**

თინათინ სულაშვილი: „მინდა მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი დაფასებისთვის. ჩვენი შრომა ცოტა უჩინარია, მაგრამ ეს შრომა და ღვაწლი ჩვენი მოსახლეობის, ახალგაზრდობის კულტურასა და განათლებაშია ჩადებული. ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს ჩვენს კოლეგებს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბევრ წიგნს და რაც მთავარია- მშვიდობას“.

ციური ბენაშვილი: „დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას. სულ პატარა გოგო ვიყავი, როდესაც ბიბლიოთეკაში შემოვაბიჯე. 42 წელი გავატარე აქ და ჩემთვის ეს სამსახური იყო ძალიან დიდი ბედნიერება. ეს იყო ჩემი ოჯახიც, მეგობრებთან ურთიერთობაც და სიყვარულიც, ურთიერთპატივისცემაც. მადლობა ასეთი დაფასებისთვის. ყველას გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს“.

თამარ ნასრაშვილი: „მადლობას გადაგიხდით და მინდა, დღევანდელი თემატიკიდან გამომდინარე, შემოგთავაზოთ ნიკო ფიროსმანიშვილისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსი.

„ჯაეხვეოდა ბალახში ფრთხილად და ჩურჩულებდა ღმერთის ენაზე,
ენატრებოდა ქიზიყის ხილვა,ნისლში შეხვეულ მთების ხინაზე,
ვაზზე ელვარე უურძნის მტევანი, თუმცა, რთველობა მას არ ეხილა...
თვალში ჩაუდგა მზის შადრევანი, მთვარე ალავერდს გადმოჩეხილა.
ხატავდა, რათა ეშოვა ღვინო, დაეფრთხო დარდი, ვით შავი კატა,
თორემ რა ჰქონდა მხატვარს სალხინო,ძერე სვამდა,რომ უკეთ ეხატა.
ფერთა მეუფე მუდამ თან ახლდა,თვითონაც იეო არ აქაური,
ისე კი, ჩვენთან, გვერდით დასახლდა, უკეთ შეეცნო ქვეყნის ხმაური.
გაეხვეოდა ბალახში ფრთხილად და ჩურჩულებდა ღმერთის ენაზე,
ენატრებოდა ქიზიყის ხილვა,ნისლში შეხვეულ მთების სინაზე.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი**: „მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. ძალიან მიყვარს ბიბლიოთეკის ღონისძიებებზე დასწრება, იმიტომ, რომ მშობლიური და გულითადი ატმოსფეროა ბავშვების ჩართულობით. ეს ძალიან მახარებს. წარმატებებს გისურვებთ და ჩვენც ვეცდებით, უფრო მეტად შეგიწყოთ ხელი, რომ უფრო მეტად განვითარდეთ. ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის მეტი თემატური ლიტერატურა. გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს და წარმატებებს გისურვებთ“.

დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკარი **დედა სერაფიმე**: „ჩვენ კოლეგები ვართ, ამიტომ მოგილოცავთ პროფესიულ დღეს. მე კარგად მესმის თქვენი, ახლოს როდესაც მივედი ამ პროფესიასთან, სხვა თვალით შევხედე ამ ყველაფერს და უფრო დაფასებული, მნიშვნელოვანი და ყურადსაღები გახდა ჩემთვის. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიაა. ასევე მნიშვნელოვანია მკითხველთან ურთიერთობა, რადგან მხოლოდ წიგნის წაკითხვა არ არის საკმარისი, წაკითხულიდან რა გაიაზრა მკითხველმა, ეს არის საინტერესო. მე ბავშვებთან მაქვს ურთიერთობა და მაქვს საშუალება კითხვები დავუსვა მათ და გავიგო, თუ როგორ გაიგეს მათ წაკითხული. სასიამოვნოა მათთან ერთად სხვადასხვა წიგნის შინაარსის განხილვა. მკითხველთან ურთიერთობა ძალიან დიდი სიხარულია. გილოცავთ ამ დღეს და ულევ სიხარულს გისურვებთ. უფალი გფარავდეთ და გეწეოდეთ“.

ილია მარტყოფლიშვილმა ისაუბრა სოფლების-მირზაანისა და სამთაწყაროს ბიბლიოთეკების ახალმოსახლეობაზე. ეს ბიბლიოთეკები სკოლებში იყო განთავსებული. მუნიციპალიტეტის ჩართულობით და დეპუტატის დახმარებით გამოეყოთ მათ კეთილმოწყობილი სივრცე, სადაც ის წიგნების ფონდი განთავსდება, რომელიც რვა წელი იყო დასაწყობებული სივრცის უქონლობის გამო. ახლა ამ სოფლების მოსახლეობას ექნება საშუალება, ისარგებლონ ამ წიგნადი ფონდით. სასიხარულოა, რომ ბიბლიოთეკების კვირეულის ფარგლებში ორი ახალი ბიბლიოთეკა დაიწყებს ფუნქციონირებას.

შეხვედრის დასასრულს, მოწვეულმა სტუმრებმა და მსურველებმა პროექტში „კონვერტში ჩატეული ფიქრები“ მიიღეს მონაწილეობა. დაიწერა პატარა ბარათები და მოთავსდა კონვერტში. ეს იყო გზავნილი მომავალი თაობისთვის.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს პროფესიულ დღეს და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს.

ხათუნა ბენაშვილი

დავით პატატიშვილი-პოეტი მეომარი 1918-1944 წწ

9 მაისს ქართველი ხალხი ზეიმობს უდიდეს გამარჯვებას, რომელიც მან ესოდენ დიდი მსხვერპლის ფასად მოი-

პოვა 1941-45 წლების მეორე მსოფლიო ომში.

2528 შინმოუსვლელი ჰყავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს. რაიონიდან სულ 5070 კაცი წავიდა ფრონტზე. რამდენი ცრემლი და სისხლი დაიღვარა, რამდენი საუკეთესო მამულიშვილი შეეწირა ამ ომს. არასოდეს გაფერმკრთალდება სისხლით დაწერილი ისტორიის ფურცლები. არასოდეს წაიშლება ხალხში იმ ვაჟკაცთა ხსოვნა, ვისთვისაც „საქართველო იყო საოცნებო სახელი“.

დღეს ჩვენ გავიხსენებთ ომში დაღუპულ ახალგაზრდა ქართველ პოეტს დავით პატატიშვილს. ის დაიბადა 1918 წლის 26 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში. სწავლობდა მშობლიური სოფლის სკოლაში, სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში, შემდეგ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ დაიწყო მუშაობა სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში.

ომის დაწყებისთანავე დავით პატატიშვილი ფრონტზეა. იბრძოდა ბესარაბიასა და სტალინგრადში, ვოროშილოვგრადსა და კოტოვსკში, ჩერკასკასა და პოლტავაში, მოსკოვსა და სმოლენსკში, ხარკოვსა და ორშაში...

იგი ბრძოლის ველზე დაიღუპა 25 წლის ასაკში. სამხედრო ნაწილიდან მის მშობლებს მოუვიდათ ბედად გადარჩენილი ლექსების უბის წიგნაკი „გული და ქარიშხალი“, ეს არის ბრძოლის ველზე, სანგრებში, ტყეში, ქარ-ცეცხლში, თოვლსა და წვიმაში, ჯარისკაცულ გზებზე ნაწერი სტრიქონები. პოეტს მათთვის ერთ წიგნაკში მოუყრია თავი, თვითონ დაულაგებია, წიგნაკიც თვითონ შეუკერია გაყვითლებული ფურცლებისგან. ეს არის სისხლით ნაწერი, ტყვიით ნაწერი, სიცოცხლით ნაწერი წიგნი. როცა ამ გაცრეცილ ფერგადაცილებულ წიგნაკს ფურცლავთ და ჩასცქერით, ჟრჟოლა გივლით, ამ გვერდებიდან მოჰქუხს ბობოქარი სული ჭაბუკი ქართველი პოეტისა, რომელიც სიცოცხლით ჯერ არც კი დამტკბარა, რომელმაც სამი თვის შერთული მეუღლე დატოვა და ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა.

„დამარტყან ხმალი, ვერ მნახვენ მტირალს,
მაწვიმს ლაჟვარდი და საფირონი,
მელოდე, ლამაზო, მელოდე,
მოვალ და სიყვარულს მოგიტან“.
მე ყველაფერზე, ყველაფერზე ვიფიქრე დიდხანს,
მაგრამ სიკვდილზე, მეგობრებო, არც ერთი წამი“.

პოეტის 60 წლისთავისადმი გამოცემულია ერთადერთი კრებული „გული და ქარიშხალი“.

წიგნის ერთი ეგზემპლარი ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში. რედაქტორი ა.ბრეგაძე აღნიშნავს: „პოეზია, მართლაც სასწაულია და ჩვენ სასწაულებრივად გაგვიცოცხლდა ქართველი პოეტების მძლავრი არმია-მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბილავა და მათთან ერთად არის ერთი ნიჭიერი პოეტი-ჯარისკაცი დავით პატატიშვილი.

„სიკვდილით ორგზის უკვდავი გახდი,
როგორც მგოსანი და მეომარი,
მშობელი ხალხის გულში დასახლდი,
ხალხის გულისთვის ომში მომკვდარი,
გულ-მკერდს უკოცნის, როგორც დედა-შვილს,
მზე ძოხახჩახე ცივ-გომბორის მთებს
და ღამე, როცა შავ ნაბდებს გაშლის,
ცა სანთლებივით ვარსკვლავებს გინთებს“.

ასე მიმართავს შინმოუსვლელ პოეტს თანასოფლელი ჯუმბერ უთრუთაშვილი.

ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატი დავით პატატიშვილი ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. მისი ამქვეყნად სიცოცხლე ერთ გაელვებას ჰგავდა, ის ომში იყო, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულა, სწამდა, რომ მკერდს დაარბენდებოდა ბრძოლის ნიშანი, მაგრამ კვლავ დადგებოდა მშვიდი და მყუდრო დღეები და პოეზიის სასწაულებრივი ძალა კვლავ გააცოცხლებდა.







ამაზე წერდა:

„თუ დავეცემი, კვლავ გავცოცხლდები,
პოეზია ხომ სასწაულია“.

მის სახელს დავიწყება არ უწერია, ქ.დედოფლისწყაროში ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს, ხოლო მისი მშობლიური სოფლის საჯარო სკოლის ეზოში დგას დავით პატატიშვილის ბიუსტი. 2005 წლამდე სკოლაც მისი სახელობის იყო, მაგრამ ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არასაჭიროდ მიიჩნია სკოლებისთვის ვინმეს სახელდების მინიჭება და გააუქმა ისინი. ამან საზოგადოების დიდი გულისტკივილი გამოიწვია. მასში არაეროვნულობის მარცვალი დაინახეს, რადგან დამსახურებული ადამიანების სახელები და მათ მიერ გაკეთებული დიდი საქმეები უგულებელყოფილი იქნა. სასურველი იქნება, თუ განათლების სამინისტრო აღადგენს სკოლებისთვის მინიჭებულ გამორჩეული ადამიანების სახელებს. ვფიქრობთ, ეს იქნება წინგადადგმული ერთი პატრიოტული ნაბიჯი.

ქართველმა ხალხმა ომში დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ ააგო შინმოუსვლელთა ძეგლები და ობელისკები. ერთ-ერთი ლამაზი ადგილი შეარჩიეს ობელისკისთვის არბოშიკელებმა. სოფლის თავზე, შემაღლებული ადგილიდან, 485 შინმოუსვლელის სული გადმოჰყურებს მშობლიურ სოფელს. ომში წასული 830 ადამიანიდან ნახევარზე მეტი ველარ დაუბრუნდა საკუთარ კერას. მათ შორის კაშკაშა ვარსკვლავად ანთია შინმოუსვლელი პოეტის დავით პატატიშვილის სახელი-მარად ჭაბუკად დარჩენილი მამულიშვილი.

დღეს ყველა ადამიანს სჯერა, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე ნათელი იქნება, ყველა მათგანს უსაზღვროდ უყვარს მრავალჭირგამოვლილი თავისი მიწა-წყალი, პატივს სცემს მის წარსულს, აწმყოს და მომავალს. ამიტომ ნატრობს მშვიდობას საკუთარ ქვეყანასა და მსოფლიოში.

ლალი ბასილაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

ტრადიცია - საჯილდაო ქვა!

„კულტურა, როგორც სახე და ანარეკლი ქვეყნისა“ და „ტრადიცია, როგორც სულიერი მემკვიდრეობა“ — ეს ფრაზები ლაიტმოტივად გასდევდა მთელ იმ სემინარ-კონცერტს, რომელსაც ყველა ასაკის წარმომადგენელი სულგანაბული უსმენდა. მისი ავტორის იუმორნარევი საუბრის მანერით, მსუბუქად მოტანილი, თუმცა გააზრებული მძიმე და პრობლემური საკითხები, უკვე აფიქრებდა დამსწრე საზოგადოებას, თუ რა დილემის წინაშე ვდგავართ - ტრადიციები თუ თანამედროვეობა?

რა არის ტრადიციები? რატომ გვგონია, რომ ისინი მოძველებული ანდაც უსარგებლოა? რითი ვამაყობთ? რატომ გვაღიარებენ მსოფლიო კულტურის ნაწილად? რითი უნდა ვიამაყოთ და როგორ უნდა ავუწყოთ თანამედროვეობის მურმივ რბოლას ფეხი? შეხვედრა, ერთი შეხედვით, ყველასთვის ნაცნობ თემებს მიეძღვნა, უმეტესობას რომ სიამაყით გვაქვს ერთხელ მაინც ნახსენები და ხოტბა შესხმული. ისეთი თემები, როგორიცაა: ქართული ენა და ანბანი, საეკლესიო ხუროთმოძღვრება, უნიკალური საგალობლები, მართლმადიდებლურ სამყაროში უაღრესად მრავალხმიანი ლიტურგია, საეკლესიო ხატწერა, ღვინო, როგორც ჩვენი კულტურის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, ქვევრის ღვინო, ყურძენი და მისი 500-ზე მეტი ჯიში, საქართველო, როგორც ხორბლის სამშობლო, ქართული სამზარეულო (რომელსაც ხოტბას ასხამდენენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ შარდენი, ალექსანდრე დიუმა, ლამბერტი და სხვანი და სხვანი), ქართული სუფრა, რომელიც იმდენი ხნისაა, რამდენისაც ქართული ღვინო, ქართული სუფრის ტრადიციები, ქართველი ერი, როგორც მეომარი სულის მქონე ეთნოსი, ტოლერანტობა და ტრადიციები, ფიროსმანი, ვაჟა-ფშაველა, მერაბ მამარდაშვილი, მიხეილ ხერგიანი, ლაშა ტალახაძე და ლაშა ბექაური, როგორც თანამდროვე საქართველოს ღირსეული შვილები და წარმომადგენლები.

ამ საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გულგრილს ვერავის დატოვებდა, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის, ფოლკლორისტის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის, **გია ბაღაშვილის** საგანმანათლებლო სემინარი-კონცერტი „ტრადიცია და თანამედროვეობა” გაიმართა. გია ბაღაშვილი კულტურის ცენტრის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ქართულ ტრადიციებსა და თანამედროვე ეპოქაში მათ შენარჩუნება/დაცვაზე ესაუბრა. გია ბაღაშვილი: **„ულრმეს მადლობას მოგახსენებთ აქ ყოფნისთვის, ჩემთვის დიდი პატივი, ბედნიერება და სიხარულია თქვენთან შეხვედრა. საკუთარ მიწა-წყალს არასდროს მოვშორებულვარ შინაგანად, მაგრამ დედოფლისწყაროში ყოფნა, მაინც განსაკუთრებული შეგრძნებაა. იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის დიდი მადლი და პატივია საპატიო დედოფლისწყაროელობა.“** - ასე მიესალმა ბატონი გია შეკრებილ საზოგადოებას და ზემოთ ნახსენები თემები დეტალურად განიხილა, თუ რატომ გვჭირდება ჩვენ ტრადიციების დაცვა და მისი შენარჩუნება თანამედროვეობის კვალდაკვალ. **„ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც უნდა ვიყო, ვცდილობ მაქსიმალურად წარმოვაჩინო ჩვენი ქვეყანა იმ კუთხით, რომელიც ჩემი მოღვაწეობის სფეროა და არამარტო. ძალიან მიხარია, რომ ამ შეხვედრამ გამოიწვია ინტერესი. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ აქტუალურობაა იმ თემებისა, რასაც ეროვნული სატკივარი ჰქვია. ეროვნული პრობლემების მიმართ არ შემცირებულა ყურადღება, მიუხედევად მათ მიმართ ხშირად ნიჰილისტური და ზედაპირული დამოკიდებულებისა. რაც დრო გადის, ვფიქრობ, ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ანბანურ ჭეშმარიტებას და რაც შეიძლება იწოდებოდეს წარუვალ, მუდმივ ღირებულებებად, რომელთა მნიშვნელობაც აქსიომატური უნდა იყოს, ნელ-ნელა დავიწყების პირასაა. როდესაც ამ ღირებულებათა სრულიად არალოგიკური გადაფასება მიმდინარეობს, ეს პროცესი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ჩვენი შემდგომი თაობებისთვის. ჩვენი შვილებისთვის ტრადიციების დამახანიჯებულად წარმოჩენას და ღირებულ ასპექტებზე მახვილების არასწორ დასმას, უმეტესწილად, ფატალურ შედეგებამდე მივყავართ ხოლმე. რადგან, სწორედ ეს თაობაა ყველაზე მეტად მოწყვლადი. ჩემი სემინარის მიზანიც ისაა, რომ ჩვენს და მომავალ თაობას შევახსენოთ ეროვნული ღირებულებები, რათა უკეთ ვიყოთ შეიარაღებულები იმ ცნობებით, რომელიც დღევანდელ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ვინაიდან, დღეს, სწორედ ინფორმაციაა ყველაზე მთავარი და ამ საინფორმაციო ომსა თუ ჭიდილში მთელი კაცობრიობა ლამობს, რომ თავისი კულტურა მაქსიმალურად წარმოაჩინოს. საჭიროა გავითავისოთ, რომ რაც უფრო უძველესი ისტორიის მქონეა ერი, მით უფრო ღირებულია**

მისი ტრადიციები როგორ თავად მისთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვისაც, რასაც აღიარებს კიდეც საერთაშორისო საზოგადოება“.

ბატონმა გიამ მისთვის დამახასიათებელი იუმორითა და სწორი აქცენტებით დარბაზამდე მოიტანა ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანების ნააზრევი, როგორებიც იყვნენ შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, მერაბ მამარდაშვილი, ამბროსი ხელაია. ხალხური სიბრძნით გადმოცემული საკაცობრიო მნიშვნელობის სულიერი მხარეები, რასაც მსოფლიოს ვუზიარებთ და მსოფლიო კი სწორედ ამიტომ გვაღიარებს და გვაფასებს ჩვენ. ამის ნათელი მაგალითი კი ტოლერანტობისა და ადამიანობის გამოხატულების მქონე ხალხური ლექსის წარდგენა გახლდათ, რომელიც ხაზს უსვამს ქართველს, როგორც ჰუმანურობისა და განსხვავებულის პატივისცემის ეტალონს:

„წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დაგიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
სცა სოფელში მიხვიდე,
სუფეულგან ორი გზა არი.
შუაში არის ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.
ეველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
თუ ქალი გეტეკვის დობასა,
ის უკეთესი და არი.
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?“

„ვფიქრობ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა მიეცეს საშუალება, ბატონი გიას ლექცია -სემინარი ნახოს და მოისმინოს. დარწმუნებული ვარ, თითოეული აქ მყოფი წელში გამართული და ამაყია იმით, რომ უნიკალური წარსულისა და ტრადიციების მქონე ქვეყნის შვილია. ამიტომაც, დიდი მადლობა ბატონ გიას, საპატიო დედოფლისწყაროელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში კიდევ ერთხელ ჩამობრძანებისათვის“ - აღნიშნა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.**

„კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ყოველთვის მხარს უჭერს მნიშვნელოვან ეროვნულ პროექტებს და უფრო მეტიც, მათი თანაორგანიზატორიც ხშირად ხდება. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში გია ბაღაშვილის საავტორო სემინარის სახით. მან წარმოუდგინა კახეთს პროექტი „გლობალიზაცია და თანამედროვეობა“, რომელიც მნიშვნელოვანია იმით, რომ ის ემსახურება მომავალი თაობებისთვის ჩვენი ფენომენალური ფოლკლორული ხელოვნების, ტრადიციების, ჩვენი ქართველობის შენახვა-პოპულარიზაციას. საჭიროა, რომ მოზღვავებული ინფორმაციისა და გლობალიზაციის პირობებში, არ ავცდეთ ჩვენთვის ყველაზე ღირებულს, მნიშვნელოვანს, ჩვენს თვითმყოფადს, ჩვენს ფესვებს და ჩვენი ქართული გენითა და ხასიათით ნატარებ კულტურას. აქვე მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო დედოფლისწყაროელების მიმართ, რადგან მე არ მახსოვს როდისმე აქ, ამ დარბაზში, ვყოფილიყავი და ეს დარბაზი არ ყოფილიყოს სავსე. თქვენი მაყურებელი განსაკუთრებით მაღალი კულტურით, გემოვნებითა და დამოკიდებულებით გამოირჩევა სტუმრებისა და, განსაკუთრებით, ხელოვანების მიმართ.“ - განაცხადა **ლეილა ლეგაშვილმა,** კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ანსამბლებიც, ჰამლეტ გონაშვილის გალობის სკოლის მოსწავლეები (ხელმძღვანელი: ნიკა შანშაშვილი), ანსამბლი „ხორნაბუჯი“ (ხელმძღვანელი: ლექსო გრემელაშვილი) და წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები (ხელმძღვანელი მაია ლეკაშვილი). ბატონმა გიამ მათთან ერთად შეასრულა ყველასთვის ნაცნობი ქართული ხალხური სიმღერები და საზოგადოებას ბოლოს ამ სიტყვებით მიმართა: **„თუ ჩემი საუბარი ოდნავ მაინც მისწვდება ჩვენი ახალგაზრდა თაობის სულს, ძალიან ბედნიერი ვიქნები. ჩვენ ხშირად უნდა ვუმეოროთ მათ ტრადიციების დადებითი აქცენტები და დავეხმაროთ ჩვენამდე არასწორად შემორჩენილი ტრადიციების სწორად გაგებასა და აღქმაში“**.

„ლექციას შთაგონების წყაროდ უნდა იქცეს და არამხოლოდ ცოდნის მიღების საშუალებად“ - აღნიშნა ასევე ბატონმა გიამ და შეუძლებელია არ დაეთანხმო. ლექციის დასასრულს, ყოველი ჩვენგანი თუ არა, დარბაზში მყოფთა უმეტესობა მაინც, კვლავ დაფიქრდა, თუ რანი ვართ, სად ვიმყოფებით და საით გვინდა რომ წავიდეთ. დავფიქრდით მინიმუმ იმაზე, რომ მსოფლიოში ძნელად მოიპოვება ქვეყანა, რომელსაც ჩვენი სამშობლოს მსგავსად ერთიანი კულტურული, ისტორიული, ენობრივი, სარწმუნოებრივი გზა გააჩნდეს. ისევ ბატონ გიას თუ დავესესხებით, თანამედროვეობასთან მუდმივ ჭიდილში მყოფებს, თუ დაგვავიწყდება ტრადიციები და ის, საიდან მოვდივართ, მაშინ „თუ არაფერი შეგვიძნია, არც არაფერი გვეკუთვნის“.

ფიროსმანი, ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ხერგიანი, მერაბ მამარდაშვილი, ლაშა ბექაური, ლაშა ტალახაძე და სხვანი და სხვანი - ამ ხალხის ქვეყანა ვართ ჩვენ. ღვინის, ხორბლისა და ყურძნის სამშობლო, რომლის წარმომადგენლის სიტყვაც კანონზე ძლიერი იყო და რომელიც ამ სიტყვას არასდროს ტეხდა. ეს იყო და ასეთი გვინდა ჩვენ მომავალი საქართველოს თაობები. პატიოსანი, ერზე და მამულზე მზრუნველი, სარწმუნოებისა და რწმენის მქონე, რომელსაც სიტყვა „ტრადიციად“ ზღვარგადასული ღრეობა კი არა, 10, 000-ზე მეტი საგალობელი, ყურძნის 500-ზე მეტი და ხორბლის 14 ენდემური ჯიში, ხუროთმოძღვრება, ქართული პოლიფონია, ქართული სამზარეულო და ჩვენი, ის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები წარმოუდგება, რასაც მსოფლიო მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავისადაც მიიჩნევს - ღირებულად, ძვირფასად, დასაცავად. მადლობა ბატონ გიას, რომ ეს კვლავ შეგვახსენა და გაგვიჩინა იმედი, რომ ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, რომელსაც თანამედროვეობასთან ეს ჭიდილი აწუხებს, სტკივა და სამშობლოს საკეთილდღეოდ იბრძვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

მართვის მოწმობის აღება ორეტაპიანი გახდა

მართვის მოწმობის ასაღები გამოცდა ორეტაპიანი გახდა, მისი ჩაბარება რეალურ მოძრაობაში გახდა სავალდებულო. პრაქტიკული გამოცდის ახალი ეტაპის შესახებ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ისაუბრა.

იმედა მაკასარაშვილის თქმით, პირს, რომელიც მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდას ჩააბარებს, 30 დღის ვადა ეძლევა იმისათვის, რომ დახურულ მოედანზე ჩააბაროს პრაქტიკული გამოცდის 1-ლი ეტაპი. გამოცდის 1-ლი ეტაპი იგივე წესებით ჩატარდება, რაც აქამდე მოქმედებდა, ვინც ამ ეტაპსაც ჩააბარებს, უკვე მოუწევს პრაქტიკული გამოცდის რეალურ მოძრაობაში - ქუჩაში ჩაბარება.

„რეალურ მოძრაობაში პრაქტიკული გამოცდის დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე 80 კმ/სთ-მდე სიჩქარის გზას მოიცავს. გამოცდის ამ ეტაპზე სხვადასხვა ტიპის გზები და სირთულეები იქნება დასაძლევი აპლიკანტის მიერ - რეგულირებადი, თუ არარეგულირებადი გზაჯვარედინები, ზოგან ხიდია გამოყენებული, რთული რელიეფის (აღმართიანი) გზებიც არის გათვალისწინებული, ასევე რთულად დასაძლევი მონაკვეთები.

ავირჩიეთ სპეციალური მარშრუტები და სწორედ ეს მარშრუტებია, ის გზა, რომელიც უნდა გავლოს აპლიკანტმა გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად. პირს მინიმუმ 25 წუთის განმავლობაში მოუწევს პრაქტიკული გამოცდის რეალურ სივრცეში ჩაბარება და ეს 25-წუთიანი მონაკვეთი მოიცავს დაახლოებით 15-დან 17 კმ-მდე გზას. აპლიკანტს წინასწარ არ ეცოდინება თუ რომელი მარშრუტის გავლა მოუწევს, თვითონ პროგრამა უკარნახებს, სად უნდა გადაუხვიოს, რომელ გზაზე უნდა წავიდეს და რა მარშრუტით უნდა იმოძრაოს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი დაემორჩილოს იმ საგზაო ნიშნებსა და მონიშვნებს, რაც ამ საგამოცდო მონაკვეთზე შეხვდება.

პრაქტიკული გამოცდის 1-ელ ეტაპზე კანდიდატს ეძლევა 100 ქულა, საიდანაც არ უნდა დააგროვოს - 40 ქულა, გამოცდის წარმატებით გასავლელად. მე-2 ეტაპზე კი გვაქვს მძიმე (საფრთხის შემცველი ქმედება, საავარიო სიტუაციის შექმნა) და მსუბუქი შეცდომები (აქსელერატორის მართვა, სიჩქარის გადართვა). შეფასების კუთხით 12 მსუბუქი შეცდომა არ უნდა დააგროვოს, რომ ჩააბაროს გამოცდა და ამასთან, 1-ვე მძიმე შეცდომაზე კანდიდატი ჩაჭრილად ჩაითვლება. ჩაჭრის შემთხვევაში აპლიკანტი 30 დღიანი ვადის შემდეგ შეძლებს განმეორებით გამოცდაზე გასვლას. თუმცა, ასევე შეუძლია დაჩქარებული სერვისითაც ისარგებლოს,“- განაცხადა მაკასარაშვილმა.

მისივე თქმით, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპზე ერთჯერადად გასვლის საფასური არის 90 ლარი, ხოლო დაჩქარებული სერვისის შემთხვევაში ღირებულება - 160 ლარია.

გარდა ამისა, მართვის მოწმობის მიღების მსურველები, მომსახურების საგენტოს მიერ დადგენილი ახალი წესების მიხედვით, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპისთვის მომზადებას ვერ შეძლებენ.

საუბარია ახალ მარშრუტებზე, რომელიც გამოსაცდელმა ქალაქის რეალურ მოძრაობაში უნდა გაიაროს. ამ მარშრუტებზე პრაქტიკული სწავლება აკრძალული იქნება. გზის იმ მონაკვეთებს, სადაც ავტოსკოლების ინსტრუქტორებს სწავლება შეეძლებათ, მუნიციპალიტეტები თავად დაადგენენ. მართვის უფლების მიღების მსურველები პრაქტიკული გამოცდის ახალი სტანდარტით ჩაბარებას 9 ქალაქში: რუსთავში, გორში, თელავში, ფოთში, ახალციხეში, ქუთაისში, საჩხერეში, ოზურგეთსა და ბათუმში.

“B” და “B1” კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ორეტაპიანი მიმდინარე წლის 25 აპრილიდან გახდა. მძღოლობის მსურველს თეორიული გამოცდის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში აქვს უფლება გავიდეს პრაქტიკულ გამოცდაზე, მისი ჩაბარების შემდეგ, მეორე ეტაპის გამოცდის გასავლელად კი ერთი წელი აქვს.

ბიომეტრიული პასპორტებისა და პირადობის მოწმობის აღების ფასები იცვლება

პირველი მაისიდან ბიომეტრიული პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღების ფასი იზრდება. თუ დღეს ბიომეტრიული პასპორტის საფასური სრულწლოვანი პირისთვის 10 სამუშაო დღეში გაცემის შემთხვევაში 100 ლარია, მაისიდან მისი ფასი 150 ლარი იქნება. შესაბამისი დადგენილება საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა.

ახალი განფასება ბიომეტრიული პასპორტის აღების შემთხვევაში ასეთია:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 150 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 30 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 75 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 150 ლარი და სხვა.

მაისიდან პირადობის ელექტრონული მოწმობის აღების ფასიც ორმაგდება. თუ დღეს პირადობის ელექტრონული მოწმობის საფასური მე-10 სამუშაო დღეს 30 ლარს შეადგენს, მაისიდან მისი ფასი 60 ლარი იქნება.

ამ შემთხვევაში განფასების ახალი წესი ასეთია:

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 20 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 40 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 60 ლარი;

იმავე დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური 90 ლარი.

მოსწავლეებს ექსკურსიაზე ღამისთევით წასვლა ეკრძალებათ

განათლების სამინისტრო სკოლებს მხოლოდ ერთდღიანი ექსკურსიის მოწყობის უფლებას აძლევს, მოსწავლეების ღამისთევით ქალაქიდან გასვლა კი იკრძალება.

ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს, ექსკურსიის ადგილის შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ მანძილი სკოლიდან ლოკაციამდე 150 კმ-ს არ აღემატებოდეს.

გარდა ამისა, ზოგადადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით, მნიშვნელოვანია, ექსკურსიის დროს არასრულწლოვნები არ მოხვდნენ მდინარისა და წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ და სხვა დაუცველ ტერიტორიებზე. ასევე, როგორც განათლების სამინისტროში საagენტოს განუმარტეს, ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

„სასკოლო ექსკურსიების ორგანიზების პროცესში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მოქმედებენ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის N719 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული წესის შესაბამისად, ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, რისთვისაც იგი გამოითხოვს და სკოლის დირექტორს, ექსკურსიამდე არანაკლებ 10 დღით ადრე, წარუდგენს ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი კატეგორიის ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლს, ინფორმაციას ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის, მცირეწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღისა და ლოკაციის შესახებ. სკოლის დირექტორი განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტებს და პერსონალური პასუხისმგებლობით იღებს გადაწყვეტილებას ექსკურსიის განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსწავლეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ექსკურსია უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთ დღეში, ღამისთევის გარეშე. ლოკაციის შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ მანძილი სკოლიდან ლოკაციამდე არ აღემატებოდეს 150 კმ-ს. მნიშვნელოვანია, ექსკურსიის დროს არასრულწლოვნები არ მოხვდნენ მდინარისა და წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ და სხვა დაუცველ ტერიტორიებზე.

ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია მოსწავლეს, მის წარმომადგენელს და ექსკურსიაში მონაწილე სხვა პირებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, დაგეგმილ ღონისძიებათა მიზნების, აქტივობების და მონაწილე და პასუხისმგებელი პირების შესახებ. ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მოსწავლის მშობლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მოსწავლის მონაწილეობის შესახებ, თუ მოსწავლის წარმომადგენელი არ ახლავს მას ექსკურსიაზე. ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ. მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ექსკურსიაზე ტრასპორტირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც გავლილი აქვს ტექდათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი. სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.

მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას მათი კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი საჭიროების გათვალისწინებით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ ახალი კორონავირუსით (Covid 19) გამოწვეული პანდემიის პირობებში ნებისმიერი აქტივობის ჩატარებისას დაცული უნდა იქნას კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი ყველა რეგულაცია. გარდა კოვიდრეგულაციების დაცვის აუცილებლობისა, უნდა შეიზღუდოს სხვა ნებისმიერი რესპირატორული დაავადების ნიშნების მქონე პირთა მონაწილეობა სასკოლო ექსკურსიებში“, – ნათქვამია განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გვერდის მასალები მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რუსეთის რამდენი მოქალაქე ფლობს უძრავ ქონებას საქართველოში?

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისა და ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს ბევრ ქვეყანაში სანქციები დაუწესდათ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ქონების შეძენაზე.

საინტერესოა, რუსეთის რამდენი მოქალაქე ფლობს უძრავ ქონებას საქართველოში. საჯარო რეესტრის ინფორმაციის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულია 20 993 რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა უძრავი ქონება.

„სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაცნობებთ, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, უძრავი ნივთის მესაკუთრედ რეგისტრირებულია 20 993 რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე პირი, მათ შორის 10 411 პირი რეგისტრირებულია ინდივიდუალური საკუთრების საგნის (ბინის, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების) მესაკუთრედ"- აცნობეს უწყებიდან „ბიზნესპრესნიუსს".

ინფორმაციისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის მარტში საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეების რაოდენობამ 45 100-ს მიაღწია, რაც საქართველოში შემოსულების 18%-ს შეადგენდა. ამას გარდა, წინა თვესთან შედარებით, 68.8%-ით გაიზარდა შემოსული რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა.

„რუსეთმა უკრაინაში ომის დანაშაულები ჩაიდინა"

Amnesty International-ის განცხადებით, არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ რუსულმა ჯარებმა ჩაიდინეს ომის დანაშაულები, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების სიკვდილით დასჯა, როდესაც მათ თებერვალსა და მარტში უკრაინის დედაქალაქთან ტერიტორია დაიკავეს.

უფლებადამცველი ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რუსული ძალები სამოქალაქო პირებს „აწამებდნენ და ესროდნენ" კიევზე წარუმატებელი თავდასხმის დროს, უკრაინაში შეჭრის ადრეულ ეტაპზე.

დოკუმენტის თანახმად, რუსმა ჯარისკაცებმა ბუჩაში ჩაიდინეს „აშკარა ომის დანაშაულები", მათ შორის „ბევრი უკანონო მკვლელობა".

ორგანიზაციის მტკიცებით, რუსული ავიაციის მიერ 1-2 მარტს ქალაქ ბოროდიანკაში საცხოვრებელ კორპუსებზე განხორციელებული დარტყმები, რის შედეგადაც სულ მცირე 40 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, იყო „არაპროპორციული და განურჩეველი და აშკარა ომის დანაშაული".

შეგახსენებთ, რუსეთი, რომელიც უკრაინაში შეჭრას „სპეციალურ ოპერაციას" უნოდებს, ამტკიცებს, რომ მისი მიზანი „უკრაინის განიარაღება და დენაციფიკაციაა".

თამარ გაბუნიამ აცრების რაოდენობასა და კორონავირუსის შემთხვევებზე ისაუბრა

საქართველოში შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს, სტაბილიზაციის ტენდენცია აშკარაა, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია ჟურნალისტებთან ეპიდვითარებაზე საუბრისას განაცხადა. როგორც გაბუნია აღნიშნავს, დღიური ინფიცირების მაჩვენებელი 100-150-მდე მერყეობს.

„საქართველოში შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს, სტაბილიზაციის ტენდენცია აშკარაა. შემთხვევების გამოვლენისთვის ტესტირება გრძელდება. დღეში ინფიცირების მაჩვენებელი 100-დან 150 შემთხვევას არ აღემატება. კვირაში ერთხელ გამოქვეყნება ჯამური სტატისტიკა. კვლავ მნიშვნელოვანია ვაქცინაციის პროგრამის გაგრძელება და გაფართოება. ჩვენ დღეს მოსახლეობის 34% გვყავს ვაქცინირებული, რაც არ არის საკმარისი დაცვისთვის, თუ კვლავ იქნება გარკვეული მუტაციის რისკი",- აღნიშნავს გაბუნია. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სტატისტიკა: 6 მაისის მონაცემებით სულ ჩატარებულია 2 885 315, მინიმუმ 1 დოზით ვაქცინირებულია ადამიანი 1 366 832 , >18 ასაკის მოსახლეობის 47.6%, სრულად ვაქცინირებულია 1 264 740 ადამიანი, >18 ასაკის მოსახლეობის 44.0%, ბუსტერ დოზით აცრილია 250 249 , 12-15 წლის მოზარდებში მინიმუმ 1 დოზით აცრილია 4 238 (2.39%) სრულად აცრილია - 3 366 (1.90%), 16-17 წლის მოზარდებში მინიმუმ 1 დოზით აცრილია 12 708 (15.67%) სრულად აცრილია- 11 228 (13.85%), 5 მაისს ჩატარდა 467 აცრა, ვაქცინაციაზე რეგისტრაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ 1522 ან ეწვიოთ ბოოკინგ.მოჰ.გოვ.გე, ასევე შესაძლებელია რეგისტრაციის გარეშე მიმართოთ უახლოეს ამცრელ პუნქტს.

***

გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული კოვიდ ვითარებით. როგორც ჩვენთან საუბარში, მუნიციპალიტეტის მთავარი ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი აცხადებს, „პანდემიის დაწყებიდან დღემდე დაფიქსირებულია 7251 დადებითი შემთხვევა. მხოლოდ 2022 წელს 2710 ინფიცირებული იყო. აპრილის თვეში 51 დადებითი, ხოლო მაისში 5 დადებითი ფაქტი აღიწერა. მთლიანად კორონავირუსით დედოფლისწყაროში გარდაიცვალა 81 ადამიანი. მათ შორის 2020 წელს გარდაიცვალა - 12, 2021 - 50, 2022 წელს კი - 19. შემთხვევების კლების დინამიკა დადებითია, მოლოდინი უკეთესობის გვაქვს, ჯერჯერობით რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი ისევ კოვიდ-კლინიკის სტატუსით აგრძელებს მუშაობას".

მონატრება

ფიქრია ქადაგიძე

ჩემო უსაყვარლესო შვილო, დიდი ტკივილი მომაყენა შენმა სიკვდილმა, რასაც არავის არ ვუსურვებ ცხოვრებაში, რადგან ყველაზე მძიმეა და გაუსაძლისი შვილის სიკვდილი. ჩემთვის ცხოვრებას არავითარი აზრი აღარ აქვს.

ჩემო ლამაზო, კეთილო შვილო, დედოფლისწყაროში ყველას უყვარდი, ყველა საუკეთესო პედაგოგად გიცნობდა, უყვარდი ახლობლებს, მეზობლებს, მეგობრებს, რომლებიც დღემდე შენს გარდაცვალებას გლოვობენ. ჩემო საყვარელო შვილო, გამოაკლდი შენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, სანათესაოს. თვალებით მუდამ შენ დაგეძებ, მახსენდება შენი წარსული, ყურში ჩამესმის წინასააღდგომოდ, წითელ პარასკევს შენი მძიმე სუნთქვა და ტკივილიანი კვნესა, რომელმაც საბოლოოდ დაგვაშორა, და აი ახლაც, აღდგომა დღეს, 4 წელი შესრულდა რაც გარდაიცვალე. გაივლის წლები, გაგრძელდება ცხოვრება უშენოდ, მაგრამ დრო ვერ წაშლის იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც დედა-შვილობა ჰქვია. ყველას ძალიან დააკლდი ჩემო ტკბილო, თბილო და უწყინარო შვილო, ფიქრია - შენს ძმას, ძმისშვილებს, დეიდებს, დეიდაშვილებს და ბიძაშვილებს. ახლა კი, ჩემო ფიქრია, ყველაფერს ერთად გილოცავ - 3 მარტს დედის დღეს, 8 მარტს -ქალთა დღეს.

შვილო, მიყვარს შენი ქვაზე გამოხატული სახე საფლავზე და მენატრები. ყოველთვის ვილოცებ შენი ნათელი სულისთვის. დაე, ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, ჩემო საყვარელო შვილო, ფიქრია.

შენი მონატრებული დედა,
ლილი ქადაგიძე-პოპიაშვილი

ბელურა, ნუგზარ და ნანული მაჩაბლიშვილები

ენა ვერ აწერს ისეთ ტკივილს, როგორშიც ჩემი გული იმყოფება თქვენი დაკარგვის შემდეგ. ბევრი სასიხარულო ამბებიც იყო თქვენი ამ ქვეყნიური ცხოვრების დატოვების შემდეგ, მაგრამ ჩემთვის არავითარი წამალი აღარ არსებობს, რომ ჩემი გული განიკურნოს. სადაც გინდა ვიყო, ჩემს თავს კითხვას ვუსვამ, ნეტავ რა დავაშავე ისეთი, რომ ღმერთმა ასე გამწირა? სიბერეში ასეთი მწარე ხვედრი მერგო, ორი შვილი უდროოდ გამომეცალა ხელიდან. 48 წლის ნუგზარი და 54 წლის ნანული მაჩაბლიშვილები. მეუღლე ბელურა მაჩაბლიშვილი, რომელიც შვილების დარდს მალე გადაჰყვა. ჩემო საყვარელო ნანული, მინდა, მოგილოცო 11 მაისი, ის ხომ შენი დაბადების დღეა. უკვე 5 წელია, რაც იმქვეყნად გილოცავთ დაბადების დღეს. ამავე დროს უკვე ბებო გახდი და ერთი წლისაა უტა ბიჭი, შვილო. ნუგზარ, შენც მინდა მოგილოცო და გახარო, რომ პაპა გახდი და დიტოსაც უკვე ერთი წლის ბიჭი ჰყავს.სასიხარულოა ის, რომ თქვენი დანატოვარი შვილები და შვილიშვილები ყოველთვის მოგიგონებენ. ჩემი თავისთვის მშურს, რომ მე დიდი ბაბო ვარ.

აქედან გეფერებით ჩემო ქმარ-შვილო და ნათელში იყოს თქვენი კეთილი სულები. ვიცი, როგორი კეთილებიც იყავით. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სულები სამოთხეში იქნება. ილოცეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის.

დედა,
ციცინო გონაშვილი-მაჩაბლიშვილი

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ თეატრმცოდნესა და ტელეწამყვანს ნიკოლოზ წულუკიძეს და მის ოჯახს, მცირეწლოვანი შვილის

კონსტანტინე წულუკიძის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო. ოჯახს უსურვებს გამძლეობასა და სულიერ მხნეობას. დაე, უფალმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს პატარა ანგელოზს.

საუკეთესო შედეგი

29 აპრილს. ქართლში, ქ.გორში გაიმართა ტრაგიკულად დალუპული სპორტსმენის ვახტანგ ქუთათელაძის სახელობის ხსოვნის ტურნირი კიკბოქსინგში.

აღნიშნულ შეჯიბრზე მონაწილეობდნენ ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის (პრეზ.გოჩა ჯავახია) სხვადასხვა გუნდები.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები.

შესანიშნავად იასპარეზეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“ ს (მწვრთ. თამაზ ყარაგვეზაშვილი) სპორტსმენებმა.ჯამში კი მათ 14 მედალი მოიპოვეს, აქედან 4 პირველი, 6 მეორე, 4 მესამე ადგილი.

ჩემპიონები გახდნენ: საბა ღვინეფაძე 54 კგ; მიხეილ ბაღდასარიანი 67 კგ; ნიკა თარალაშვილი 80 კგ; ლუკა ზურიკაშვილი 86 კგ.

მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი: ჭუბაბრია ლაშა; წიკლაური ლუკა; იურისინოვი ლევანი; ბაღდასარიანი გიორგი, ყაჭაშვილი ლუკა; ნაროზაული გელა.

მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი:

ჯავახიშვილი სოსო; ჯამასპიშვილი გიორგი; ტუმასიანი ლუკა; ანთაძე სანდრო..

აღნიშნულ ტურნირზე გამორჩეულად კარგად იბრძოლა მიხეილ ბაღდასარიანმა (67 კგ) და ახალბედა კიკბოქსინგელმა ლუკა ზურიკაშვილმა (86 კგ)..მათ ყველა ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით დაასრულეს და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეს.

შეჯიბრის დასასრულს საპრიზო ადგილებზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა თასებით, მედლებით და სიგელებით.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს მიღწეულ გამარჯვებას. უსურვებს მათ, ყოველთვის ასეთი დიდი გამარჯვებებით ესახელებინოთ დედოფლისწყარო.

უცხოეთიდან გამოწერილ ამანათებს მომსახურების ახალი მოსაკრებელი ემატება

14 მაისიდან უცხოეთიდან გამოწერილ ამანათებს მომსახურების ახალი საკომისიო ემატება. ამის შესახებ ინფორმაციას თავად შემოსავლების სამსახური ავრცელებს. უწყების განმარტებით, ცვლილება თვითმომსახურების ელექტრონული სერვისების წახალისებისთვის არის მიღებული, რადგანაც მომხმარებელს ეჩუსტომს-ის მეშვეობით ამანათის წინასწარი გატარების შემთხვევაში უფრო ნაკლები თანხის გადახდა მოუწევთ, ვიდრე ამ ოპერაციის ფიზიკურად გეზ-ში შესრულება ეღირება.

შემოსავლების სამსახურის განცხადება:

- თვითმომსახურებისა და ელექტრონული სერვისების გამოყენების წახალისება, მათ შორის, დეკლარანტების/მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ „ეჩუსტომს“-ის მეშვეობით რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების უპირატესი, განსხვავებული საფასურების შემოღება;
- საქონლის საბაჟო დეკლარაციების „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ შევსებისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საქონლის დეკლარირების წახალისება, რის ფარგლებშიც ფართოვდება იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელია საქონლის წინასწარი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე დეკლარირება.

აღნიშნული ცვლილების მიხედვით, თვითმომსახურებისა და საქონლის წინასწარი (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირების წახალისების მიზნით, ქვემოთ მოცემული საბაჟო პროცედურებისთვის მომსახურების საფასურები განისაზღვრა შემდეგნაირად:

„გარდა ზემოაღნიშნულისა, ნორმატიულ აქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ მომსახურების გაწევის მიზნებისთვის არასამუშაო დროდ განისაზღვრა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით — 21:00 საათიდან მომდევნო დღის 10:00 საათამდე პერიოდი, შაბათს – 21:00 საათიდან ორშაბათის 10:00 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები. ამასთანავე, გაფორმების ორგანოებში არასამუშაო დროს შეიზღუდება ისეთი საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) მე-4 მუხლით გათვალისწინებულ, პრიორიტეტული წესით გაფორმებას დაქვემდებარებულ საქონელს.

ნორმატიული აქტი, ასევე მოიცავს შემდეგი მიმართულებებით ცვლილებებს:

- კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა და გაფორმება;
- მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ით სარგებლობა;
- მატერიალური ფორმით წარდგენილი განცხადების საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციისა და მისი თანმხლები დოკუმენტების ასლების გაცემა;
- ფიტოსანიტარიულ ან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომისათვის, შემოსავლების სამსახურის „საბაჟო გამშვებ პუნქტებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონული სისტემის“ მომსახურება;
- საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის გაფორმება;
- სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის მიზნით სასაქონლო ექსპერტიზის განხორციელება”, - ნათქვამია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

მადლიერება!

რაიკავშირის ყოფილ თავმჯდომარეს!

გარდამეცვალა ჩემი გამზრდელი და ნათესავი ქალბატონი, რომელიც ძალიან მიყვარდა და ვაფასებდი, რაიონის ერთ-ერთი პატივსაცემი პიროვნება, პედაგოგთა პედაგოგი ნინო (ნუცა) ბოსტოღანაშვილი. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, მეუღლის სულის მოსახსენიებლად, ვანში გავატარე. ხუთშაბათს დავბრუნდი და ეს ტკივილიანი ამბავი დამხვდა. შევწუხდი, თითქმის სასონარკვეთილებას მივეცი, რადგან ვანიდან მობრუნებულს ერთი თეთრიც კი აღარ მომეპოვებოდა. იძულებული გავხდი, დახმარებისთვის მიმემართა ჩემი გაუქმებული სამსახურის ყოფილი თავმჯდომარისთვის. დავრეკე ტელეფონზე და როდესაც ქალის ხმა გავიგე, დავიბენი, მეგონა სხვასთან მოვხვდი და ბოდიში მოვუხადე. მან კი ხმაზე მიცნო და დამამშვიდა, სხვაგან არ მოხვდი, ჩემი მეუღლის ნომერი ახლა მე მაქვს და მითხარი რა გიჭირსო. მე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, სულ რაღაც ათ წუთში, ჩემს ტელეფონზე დარეკა ჩემმა ყოფილმა თავმჯდომარემ და შეხვედრა მთხოვა. შევხვდით და... მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მას და მის მეუღლეს იმ გულისხმიერებისა და ფინანსური დახმარებისთვის, რომელმაც მე ჩემი საყვარელი ნინო ღირსეულად მიმაცილებინა ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაომდე. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ამ კეთილშობილ ოჯახს მივულოცო გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და ბედნიერება, შვილებსა და შვილიშვილებთან გახარება, წარმატება და წინსვლა.

პენსიონერი, ყოფილი თანამშრომელი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 09.05	სამშაბათი 10.05	ოთხშაბათი 11.05	ხუთშაბათი 12.05	პარასკევი 13.05	შაბათი 14.05	კვირა 15.05
დღე	14°	15°	17°	16°	20°	23°	23°
ღამე	7°	6°	5°	6°	8°	10°	11°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.